ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4160251

ნომერი: AR1622839

თარიღი : 04.09.2018

გაცემის თარიღი : 11.09.2018

გაცნობის თარიღი : 11.09.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლუი პასტერი , N 2 ; ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 144;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გოჩა ჩოჩოშვილი პ/ნ 01022004803
- თბილისი თემქა IX კვ. კორ. ბ ბ. 18

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: ს.ს."ბაზისბანკი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 203841833
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: დავით ცაავა
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 62001023793

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ნინო ბერიძე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განაცხადი. გაცნობებთ, რომ საკითხის შესწავლისას, წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

- მშენებლობის ორგანიზების პროექტის მიხედვით სამუშაოების წარმოებისას ხდება ტროტუარის ნაწილობრივი შემოღობვა და დროებითი ხარაჩოების დაყენება. აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილი უნდა იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა;
- მზიდი კედლის ჩახსნასთან დაკავშირებით წარმოდგენილი უნდა იქნას კონსტრუქციული დასკვნა;
- დოკუმენტაციაში მითითებული უნდა იქნას საღებავის ფერის კოდები (RGB ან RAL) ნახაზზე ნაჩვენები ფერი უნდა იყოს მათი შესაბამისი;
- არქ. პროექტის ალბომს უნდა ახლდეს განამრტებით ბარათი.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 დღიანი ვადა, აღნიშნულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.